



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 364

ქალაქი ქუთაისი 22 თებერვალი 2017 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „სამართლიანობა“
რეგისტრაციის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2014 წლის 19 დეკემბრის № 94 განკარგულებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-8, მე-9 და მე-14 პუნქტების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „სამართლიანობა“ 2017 წლის 14 თებერვლის N2 სხდომის ოქმის, ამ ფრაქციის თავმჯდომარის, გ.გაბადაძის წერილობითი მომართვის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: ლ.ქელბაქიანისა და რ.წინწკალაძის წერილობითი განცხადებებისა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „სამართლიანობა“ შემადგენლობაში პირადი განცხადებით გაერთიანდა საკრებულოს წევრი, რობიზონ წინწკალაძე;
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „სამართლიანობა“ შემადგენლობიდან პირადი განცხადებით გავიდა საკრებულოს წევრი, ლელა ქელბაქიანი.

/ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „სამართლიანობა“ 2017 წლის 14 თებერვლის N2 სხდომის ოქმი, ამ ფრაქციის თავმჯდომარის, გ.გაბადაძის წერილობითი მომართვა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: ლ.ქელბაქიანისა და რ.წინწკალაძის წერილობითი განცხადებები და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის/

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „სამართლიანობა“ რეგისტრაციის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის N94 განკარგულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობა“ შედგება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

- ა. გაბადაძე გელა
- ბ. წინწკალაძე რობიზონი
- გ. დვალიშვილი კახაბერი“

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი

ბექა ყანჩელი